ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2339439

ნომერი: AR1360286

თარიღი : 02.12.2015

გაცემის თარიღი : 11.12.2015

გაცნობის თარიღი : 11.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , IV მ/რ-ის მიმდებარედ , ნაკვეთი 14/429 ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , IV მ/რ-ის მიმდებარედ , ნაკვეთი 14/430 ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , IV მ/რ-ის მიმდებარედ , ნაკვეთი 14/430 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოუჭან ჩენ პ/ნ 01991001760
- თბილისი ვაზისუბნის III მ/რ II კვ. კორ. 14 ბ. 59

ორგანიზაცია:

- შპს საქართველოს საერთაშორისო არქიტექტურისა და სამშენებლო-საპროექტო კომპანია Georgia International Architecture & Constructing Projects Company კოდი: 406102195

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ლანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე პირველი კლასის ლანდშაფტური მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, ვარკეთილის დასახლება-3, IV მ/რ-ის მიმდებარედ, ნაკვეთი 14/429, ნაკვეთი 14/430, სააქციო საზოგადოება “Hualing international special economic zone” –ს და სააქციო საზოგადოება “Ruilong industrial investment”–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე ლანდშაფტური მშენებლობის განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882015520605 16.09.2015წ. №882014261505 22.05.2014წ. №882014261578 22.05.2014წ. საკადასტრო კოდი №01.19.36.014.615, №01.19.36.014.457, №01.19.36.014.525, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, ვარკეთილის დასახლება-3, IV მ/რ-ის მიმდებარედ, ნაკვეთი 14/429, ნაკვეთი 14/430, სააქციო საზოგადოება “Hualing international special economic zone” –ს და სააქციო საზოგადოება “Ruilong industrial investment”–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე ლანდშაფტური მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ ლანდშაფტური მშენებლობის განხორციელება უნდა მოხდეს თქვენი კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge